პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ოთხშაბათი, 1 ივლისი 1925 წ.

წელიწადი მეხუთე

ფასი 3 კ.—თვიურად 60 კ.

F329N847

# წითელი მეომარი

145 (843)

1 და 2 ქართული მსრ. დივ. პოლიტ-განების ყოველდღიური გაზეთი

რედაქც. მისამართი: ტფ., ევანგულოვის ქუჩა
ელსმენი 2—24
განცხადების ფასი პირ. გვ. 40 კ. ნომპ. სტრ.

## ვალებადელო, განამტკიცე დისციპლინა.

ყვე ორი კვირა გავიდა, ტერარმიელი მოვიდა წი ყაზარმაში. ამ ხნის გან ობაში ის საკმაოდ გაეც ყაზარმული ცხოვრების პი ებს, შეეთვისა მას და კი ჩაება სამხედრო და პო კურ მეცადინეობაში. ამო ვი, რომელიც წინ უდგას ითელი არმიის რიგებში ს პერიოდში მეტად შვნელოვანია.

თავარი ამ ამოცანებში,-არის ომ ახალგაზრდა ცვალე ლებმა წარმატებით უნდა სწავლონ სამხედრო საქმე საკმაოდ გაათვითოვონ ი პოლიტმომზადების ფარ ი. ამის მიღწევა ადვილი არ არის. ამისათვის სა ა დიდი ენერგია და ყვე თავისი ვალდებულებისად გულმოდგინეთ და ერთ ულად მოპყრობა.

ჩვულეს ყოვლისა კი სა ოა მტკიცე რევოლუციო ი დისციპლინა.

თუ დისციპლინა ვერ სდგას სათანადო სიმაღლეზე ნაწილში, ი მუშაობაც წითელ-არმიელ სამხედრო-პოლიტიკურ მო დების დარგშიც უნაყოფო ება. იქ სადაც ხელქვეითი ამოუღებლივ არ ასრულებს ის უფროსის ბრძანებებს განკარგულებას არაფერი გაკეთდება.

ოველივე ეს ამ თავითვე ად უნდა შეიგნოს ახალ რდა ცვალებადელმა. მან აფად და სწორად უნდა სრულოს თავისი მეთაურის ბები. მხოლოდ მაშინ მას მნიშვნელოვანი მიღ ი სამხედრო საქმის შეს ის დარგში, მხოლოდ მა იქნება ის სამაგალითო მებრძოლი და მუშურ-გლეხური სახელმწიფოს ღირსეული დამცველი.

წითელ არმიაში დისციპლინა იჭედება ზევიდანაც და ქვევიდანაც—დაწყებული რიგის წითელ არმიელიდან და გათავებული უმაღლესი სარდლობით.

წითელი არმიის დისციპლინა არ წააგავს—მეფის ჯარის დისციპლინას, რომელიც ჯარისკაცის ცემაზე, მისი გონების დაჩლუნგებაზე და უგუნურებაზე იყო დამყარებული.

ჩვენი დისციპლინა—რევოლიუციური დისციპლინაა, რომელსაც საფუძვლად უდევს წითელ არმიელის შეგნება და მშრომელთა ხალხისადმი უსაზღვრო თავდადება და ერთგულება.

ის ცვალებადელი, რომელიც თავისი საქციელით ხელს შეუწყობს ნაწილში დისციპლინის შესუსტებას, იდებს უდიდეს დანაშაულს მშრომელი ხალხის წინაშე; ამით ის ძირს უთხრის მთელი წითელი არმიის ძლიერებას, აქედან კი მთელი საბჭოთა კავშირის კეთილდღეობას.

ამრიგად დისციპლინა საფუძველია წითელი არმიის სიმტკიცის, სამხედრო მომზადების წარმატებით სვლისა და მუშურ-გლეხური არმიის საბრძოლო უნარის აწევისა.

ცვალებადელო განამტკიცე დისციპლინა შენს ნაწილში!

სწორად და სწრაფად შეასრულე მეთაურის ბრძანებები!

იყავი მუდამ დისციპლინიანი!

ამით შენ განამტკიცებ წითელი არმიის რიგებს და აღამაღლებ მის ძლიერებას.

## სალამი ძვირფას სტუმრებს.

ელ ერთი კვირაა, რაც ინ სის მუშა ქალთა დელეგა უკან გაბრუნდა.

ხლა ჩვენ გვესტუმრა ახალი თა დელეგაცია.

სენი ფრანგი და ბელგიელი ებია. დღემდი ჩვენ მხო დ ინგლისელ ამხანაგებმა ვინახულეს.

ხლა კი ფრანგები და ბელ ლებიც გვეწვიენ. პირველი სიტყვა ჩვენს მიმართ ეს მათი მოსვლის მიზანის გა ბა ჩვენთვის.

ჩვენი მიზანია—გავაერთია თ ჩვენი ქვეყნის პროფესი ლური მოძრაობა საბჭოთა შირის პროფმოძრაობასთან და ამრიგად მოვამზადოთ მასები მუშების მომავალი დიდი ინტერნაციონალური ბრძოლისათვის საერთაშორისო კაპიტალის წინააღმდეგ".

ისე როგორც ინგლისის მუშათა დელეგაცია, ჩამოსული ფრანგი და ბელგიელი მუშების სურვილია გაეცნონ საბჭოთა კავშირის სინამდვილეს, მშრომელთა ხალხის ნამუშევარს და მთელ მის ცხოვრებას.

არა თუ მარტო ინგლისის იმპერიალისტები, არამედ საფრანგეთისაც და მთელი ქვეყნის ბურჟუაზია ავრცელებს ჩვენს წინააღმდეგ ათასგვარ პროვოკაციულ ხმებს.

ამიტომაც როგორც ინგლისის ისე საფრანგეთის, ბელგიის და სხვა კაპიტალისტურ ქვეყნების მუშები დიდათ დაინტერესებული არიან, გაიგონ ნამდვილი ამბავი ჩვენი ცხოვრების შესახებ. მათ სურთ ერთხელ და სამუდამოთ დარწმუნდენ ბურჟუაზიის და სოციალ-გამყიდველების სიყალბეში და საზიზღარ ჭორებში.

მასთან ერთად უცხოელ მუშებს დიდათ აინტერესებთ, თუ როგორ განაგებენ და ხელმძღვანელობენ პოლიტიკურ ცხოვრებას და სახალხო მეურნეობას საბჭოთა კავშირის მუშები.

ინგლისის მუშათა დელეგაცია განცვიფრებული დარჩა ჩვენი მიღწევებით და ჩვენი სინამდვილით.

ამის შედეგი იყო ის, რომ მოხდა დიდი ისტორიული მნიშვნელობის დაკავშირება ინგლისის მუშათა კლასის და საბჭოთა მშრომელთა შორის.

ჩვენ სრული დარწმუნებული ვართ, რომ ჩვენი ახალი სტუმრები—საფრანგეთის და ბელგიის პროლეტარიატის წარმომადგენლები ისეთივე გულახდილად, როგორც ეს ინგლისის მუშათა წარმომადგენლებმა ქნეს, მოუთხრობენ თავის ამხანაგებს და მეგობრებს სრულ სიმართლეს ჩვენს შესახებ.

და ეს სიმართლე საბჭოთა კავშირის მშრომელთ დააკავშირებს საფრანგეთის და ბელგიის პროლეტარიატთან ისე მტკიცედ, როგორც ამ სიმართლემ დაგვაახლოვა ჩვენ ინგლისის მუშათა კლასთან.

კიდევ და კიდევ საფრანგეთის და ბელგიის მუშების წარმომადგენლებს ჩვენ ვსთხოვთ ილაპარაკონ სამშობლოში დაბრუნებისას მხოლოდ და მხოლოდ სიმართლე.

ამით ისინი დააჩქარებენ საერთაშორისო მუშათა მთლიანი ფრონტის შექმნას და მსოფლიო რევოლიუციის გამარჯვების საქმეს.

—ე.

# ახალი რადიო-ამბები

## ჩინეთის ამბები.

### გაფიცვები ძლიერდება.

კანტონში დემონსტრანტების დახვრეტამ აღშფოთების ახალი ტალღა გამოიწვია შანხაის მუშებში. საგაფიცვო მოძრაობა ძლიერდება.

გაფიცულებს შეუერთდა კიდევ უცხოელების სამრეწველო დაწესებულებებში მომუშავე სხვა და სხვა დარგის მუშები.

### ჩჟან-ცზო-ლინი---იმპერიალისტების მოსამსახურე.

ჩჟან-ცზო-ლინის ჯარები თანდათანობით მტრულ პოზიციას იკავებენ საპროტესტო მოძრაობის მიმართ.

### სტუდენტების არმია.

შანხაის სტუდენტების კავშირთა კონფერენციამ შეადგინა კომისია, რომელმაც უნდა განახორციელოს გეგმა სტუდენტების არმიის შედგენის შესახებ.

### მოსალოდნელია დიდი დემონსტრაციები და მიტინგები.

დღეს სრულდება ერთი თვე, დღიდან შანხაის მუშებისა და სტუდენტების დახვრეტისა.

ამის გამო ჩინეთის მთავარ ქალაქებში მოელიან დიდ დემონსტრაციებსა და მიტინგებს.

### „ხელი შორს ჩინეთისაგან".

27 ივნისს ინგლისის დიდ ქალაქებში კომუნისტურმა პარტიამ მოაწყო დემონსტრანციები ლოზუნგით—„ხელი შორს ჩინეთისაგან." დემონსტრაციებს დიდძალი ხალხი დაესწრო.

### გომინდანოველის მოგზაურობა გერმანიაში.

კელნის საოკუპაციო ძალებმა აუკრძალეს კელნში მისულ გომინდანის პარტიის წევრს გამოსვლა. ეს პირი მოგზაურობს გერმანიაში და აგროვებს ჩინეთის გაფიცულ მუშათა სასარგებლოდ შემოწირულებას.

### საფრანგეთიდან გააძევეს 147 ჩინელი სტუდენტი.

საფრანგეთის შინაგან საქმეთა სამინისტრომ გააძევა საფრანგეთიდან 147 ჩინელი სტუდენტი იმ მიმართვის გამო, რომელიც ჩინეთის კოლონიების წარმომადგენლებმა ჩააბარეს საფრანგეთის მთავრობას შანხაიში მყოფ საფრანგეთის ჯარების მოქმედების საპროტესტოდ.

### მუშათა კონგრესი საფრანგეთში.

საფრანგეთის კომპარტიის მიერ შექმნილმა მოქმედების კომიტეტმა, რომელსაც უნდა ეწარმოებია კამპანია რიფებთან ბრძოლის წინააღმდეგ, უკანასკნელ საინფორმაციო კრებაზე წინადადება მისცა მათ მიიღონ მონაწილეობა მუშათა კონგრესში. სოციალისტურ პარტიებმა უნდა წარმოგზავნონ თითო დელეგატი თვითეულ პარტიულ სექციიდან, ხოლო შრომის რეფორმისტულმა კონფედერაციამ—თითო დელეგატი მასში შემავალ თითო პროფკავშირიდან.

## საბჭოთა კავშირში

### გერმანიის სტუდენტ-ტერორისტების გასამართლება.

#### მოწმე ფინკის ჩვენება.

28 ივნისს დილის სხდომაზე სასამართლო აწარმოებს გერმანიიდან გამოწვეული ფინკის დაკითხვას. ფინკი აცხადებს, რომ ის არის სტუდენტი ღვთისმეტყველი, ემზადება სღვდლოდ, სიმპატიით უყურებს კომუნისტებს და როგორც თვითონ აცხადებს, კინდერმანმა და ვოლშტმა მემარცხენეობა დაიწყეს მისი გავლენით; კინდერმანი უკანასკნელ დროს სწავლობდა კომუნისტურ ლიტერატურას გოგოლის, დოსტოევსკის და ტოლსტოის ნაწარმოების საშუალებით (დარბაზში სიცილია) ფაშისტურ ორგანიზაცია—„კონსულის" შესახებ ფინკმა, ვითომდა, არაფერი იცის.

შემდეგ ფინკი აცხადებს, რომ ჩვენი ექსპედიციის მიზანი იყო გერმანიისა და რუსეთის სტუდენტებს შორის კავშირის გაბმა და საბჭოთა კავშირის შესახებ ნამდვილი ცნობის შეკრება.

ბრალმდებელი კრილენკო მიუთითებს ფინკს ერთ მნიშვნელოვან ფაქტზე, რომელიც ამტკიცებს ფინკის „კონსულში" წევრად არსებობას, მაგრამ ფინკი სცდილობს ამ ფაქტის უარყოფას.

#### მოწმე როზეს დაკითხვა.

შემდეგ სწარმოებს მეორე მოწმის როზეს დაკითხვა. როზემ დაარღვია ხელწერილი და ინახულა გერმანიის საელჩოში ვიღაც უცნობი პირი. როზე აცხადებს, რომ შეუძლებელია გერმანიის სტუდენტებმა არ იცოდენ ორგანიზაცია, „კონსულის"-ს შესახებ.

დიტმარის ჩვენებიდან სჩანს, რომ როზე ერთ-ერთი თვალსაჩინო წევრი იყო ორგანიზაცია „კონსულის".

29 ივნისის დილის სხდომაზე კრილენკომ მიუთითა იმაზე, რომ კინდერმანს ვითომც ძალას ატანდა გამომძიებელი როზენფელდიო და სთხოვს სასამართლოს დაკითხულ იქნას როზენფელდი. სასამართლო აკმაყოფილებს შუამდგომლობას.

# კანონი

## სავალდებულო სამხედრო სამსახურის შესახებ.

საბჭოთა კავშირის რევოლიუციონურმა სამხედრო საბჭომ შეიმუშავა და შეიტანა საკავშირო მთავრობაში დასამტკიცებლად კანონი სავალდებულო სამხედრო სამსახურის შესახებ.

ეს კანონი შემუშავებულია შემდეგ საფუძვლებზე: **საბჭოთა კავშირის იარაღით დაცვა წარმოადგენს ყველა მშრომელთათვის არა მარტო საპატიო უფლებას, არამედ ვალდებულებასაც. არა მშრომელ ელემენტებს არ აქვთ საბჭოთა კავშირის იარაღით დაცვის უფლება, ამის მაგივრად მათ ეხება სხვა და სხვა ვალდებულება და ფულით დაბეგვრა, როგორც მშვიდობიან, ისე ომიანობის დროსაც.**

რაც შეეხება იმ ადგილების მოქალაქეებს, რომლებშიაც სამსახურის გავლა ყოფა—ცხოვრებითი, ეკონომიური და სხვა მიზეზების გამო საერთო წესით შეუძლებელია, ამათ შესახებ საბჭოთა კავშირის ცაკი ადგენს სამხედრო სამსახურის გავლის ერთგვარ წესს.

ყველა მშრომელ მოქალაქეებისათვის, რომლებიც ფიზიკური მდგომარეობით სავარგისი არიან სამხედრო საქმისათვის, წესდება სავალდებულო სამხედრო სამსახური, რომლის საერთო ვადა უდრის 21 წელს.

სავალდებულო სამხედრო სამსახური შესდგება: წვევამდე მომზადების, ნამდვილ სამხედრო სამსახურისა და თადარიგში ყოფნისაგან. წვევამდე მომზადება ტარდება არა ლაშქრული წესით დაწყებული 19 წლის ჰასაკიდან 2 წლის განმავლობაში თითო თვით. ნამდვილ სამხედრო სამსახურში მოქალაქეები გაიწვევიან, როცა მათ შეუსრულდებათ 21 წელი გაწვევის წლის პირველ იანვრისთვის.

ნამდვილი სამხედრო სამსახურის დასრულების შემდეგ მოქალაქეები გადაირიცხებიან მუშურ-გლეხური წითელი არმიის თადარიგში 40 წლის შესრულებამდი.

# საფრანგეთ-ბელგიის მუშათა დელეგაცია საქართველოში.

### დელეგაციის ჩამოსვლა

29 ივნის, საღამოს ხუთნახევარ საათზე, კავკავიდან თბილისში ჩამოვიდა საფრანგეთ-ბელგიის მუშათა დელეგაცია შემდეგი შემადგენლობით:

1. **კომპიონე**—მელითონე ბრიუსელიდან, 2. **ლეკრენიე**—მაღაროს მუშა, რომელიც 32 წელიწადია მაღაროებში მუშაობს, 3. **ლევანს**—მაღაროს მუშა; 4. **ეგრიკს**—მელითონე ბრიუსელიდან, 5. **ვერკერტს**—ხარატი გენტიდან, 6. **ქიპული**—მელითონე გარონიდან, 7. **კაზენეფ**—მბეჭდავი ბორდოდან, 8. **პეტერს**—მელითონე ლიეჟიდან, 9. **ჰონი**—კომუნალური დარგის მუშა, 10. **დელიარი**—დურგალი პარიზიდან, 11. **სენისს**—ლიტოგრაფი ბორდოდან და 12. **როჟე**—პარიკმახერი ნანსიდან.

დელეგატები დაბინავდენ სასტუმრო „სასახლის ნომრებში“.

დელეგაცია თბილისში დარჩება რამოდენიმე დღე. თბილისიდან დელეგაცია გაემგზავრება ბაქოში, იქიდან კი დაბრუნდება მოსკოვში.

დელეგაციას თან ახლავს სრულიად საკავშირო პროფკავშირთა ცენტრალურ საბჭოს წარმომადგენლები ამხ. დიოგეტი და ბაგრეევი.

დელეგაციის შემადგენლობიდან სამი კომუნისტია—ამხ. **ვერკერტსი, ქიპული და დელიარი**, ორი მემარცხენე სოციალ-დემოკრატი—ამხ. **კომპიონე და ჰონი**, დანარჩენები კი უპარტიოები არიან.

დელეგაციის წევრმა—მელითონემ ლიეჟიდან (ბელგია) ამხ. **ვიქტორ პეტერსმა** გადასცა ჩვენს გაზეთში გამოსაქვეყნებლად შემდეგი მისალმება, რომელიც მიმართულია თბილისის მუშებისადმი:

—„საფრანგეთ-ბელგიის დელეგაცია, რომელიც ათვალიერებს საბჭოთა კავშირს და ამჟამათ ჩამოვიდა საქართველოში, ესალმება თბილისის ამხანაგ მუშებს საფრანგეთის და ბელგიის მუშების და გლეხების სახელით.

ჩვენი მიზანია—გავაერთიანოთ ჩვენი ქვეყნების პროფესიონალური მოძრაობა საბჭოთა კავშირის პროფმოძრაობასთან და ამრიგათ მოვამზადოთ მასები მუშების მომავალი დიდი ინტერნაციონალური ბრძოლისათვის საერთაშორისო კაპიტალიზმის წინაალმდეგ“.

დელეგაცია დაათვალიერებს საქართველოს ყველა ქარხანა-ფაბრიკებს, გაეცნობა მუშათა ყოფა-ცხოვრებას.

დ.

# ნანსენის კომისია სომხეთში.

ნანსენის კომისიამ დაათვალიერა ერევნის ჩრდილოეთ—დასავლეთი ადგილები, შემდეგ ახმახლა და აშტარკი, სადაც გაეცვნეს ნიადაგის პირობებსა და წყლების სისტემას.

28 ივნისს ნანსენმა დაათვალიერა ეჩმიაძინის მუზეუმი და ბიბლიოთეკა.

ახლო დღეებში ნანსენის კომისია შეუდგება მოლაპარაკებას სომხეთის მთავრობასთან, რის შემდეგ გაემგზავრება პირდაპირ საზღვარ გარედ.

# სამხედრო ქიმია.

## ქიმიურ ცოდნის შესახებ.

### შვებულებაში წასულ წითელ არმიელის როლი სასოფლო მეურნეობაში.

გარდა იმ სარგებლობისა, რის მოტანაც შეუძლია სახელმწიფოსთვის წითელ არმიელის ქიმიურ ცოდნას და რომლებიც აღნიშნული გვქონდა წინა წერილებში, საჭიროა აღვნიშნოთ მეომრის ქიმიურ ცოდნის კიდევ ერთი დიდი მნიშვნელობა: აქ საქმე შემდეგშია. არა ერთხელ დაწერილა იმის შესახებ, რომ პურის მოსავალი ჩვენში გაცილებით ნაკლებია, ვიდრე სხვა სახელმწიფოებში. ეს აიხსნება არა თვით მიწის ღირსებით, არამედ მისი ცუდი დამუშავებით.

ჩვენს გლეხს დღემდისაც არ ესმის კარგად მიწის დაპატივების (მონაკვლა) დიდი მნიშვნელობა. მას კარგი ხანია გაუგონია, რომ სხვა და სხვა სახის ნაკელი, რომლებიც ისე იშვიათად იხმარება ჩვენში, აუმჯობესებენ მოსავალს, ხოლო თუ როგორ ხდება ეს, გლეხს ამაზე ბუნდოვანი წარმოდგენა აქვს.

ასევე გლეხი ვერ აძლევს გარკვეულ ანგარიშს თავს იმაში, თუ რა ნაკელი, რა რაოდენობით და როგორ მიწაზე უნდა იხმარო.

ეს ცოტაა. არის დაპატივების სხვა და სხვა სახე, რომელთა შესახებაც ჩვენს მხვნელ მთესველს არაფერი გაუგონია. იმავ დროს კი დაპატივების ასეთი სახეები მეტად მნიშვნელოვანი და აუცილებელია მიწის ნაყოფიერების გაძლიერებისათვის.

მართალია დაპატივებისა და თუ როგორ უნდა მიიღოს მან ასეთი საშუალება—ამის შესახებ გლეხს უნდა ასწავლოს აგრონომმა, მაგრამ ჩვენში ეს აგრონომებიც მცირეა. ხოლო გლეხს კი დაუყონებლივ ესაჭიროება ხელმძღვანელობა და დარიგება ამ საქმეში.

აი, აქაც დახმარებასა და სარგებლობას მოიტანს მეომარი. სოფლად დაბრუნების შემდეგ ის უზიარებს თავის ცოდნას ამხანაგ—გლეხებს, მას შეუძლია აუხსნას მათ თუ რა მნიშვნელოვან ნივთიერებიდან შესდგება ნიადაგი, რა და რა ნივთიერებას კარგავს მიწა-მოსავლის მიცემით, რა მცენარეებისთვის რა ნაკელი ესაჭიროება მოცემულ უბანს და სხვა. ამის მაგალითს ის აჩვენებს თავისი უბნის დაპატივებით და გლეხიც მიჰბაძავს მას. ამრიგად მეომარი მოქალაქე დიდ სამსახურს გაუწევს სოფლის მეურნეობის გაძლიერებას, როცა ის დაბრუნდება წითელ არმიიდან სოფლად.

ლ. ვორონოვი.

# სამხედრო საქმე

## 2. როგორ უნდა ებრძოლო ტანკებს.

ტანკები საშიშია იმ ჯარებისთვის, რომლებმაც არ იციან, თუ როგორ უნდა ებრძოლონ მათ. აი რატომაა საჭირო ტანკებთან ბრძოლის სხვა და სხვა საშუალებათა და ხერხის შესწავლა.

ქვეითა ჯარებს, რომლებიც ყოველთვის წინ იმყოფებიან, მოუხდებათ ყველაზე ადრე შეტაკება ტანკებთან.

მართალი ვსთქვათ, ტანკებთან ბრძოლის მთელი სიმძიმე ქვეითა ჯარს აწვება.

ტანკი დამოუკიდებლად არას დროს არ მოქმედობს. ჩვეულებრივად მას დაყვება ქვეითი ჯარი, რომლისთვისაც ტანკი სწმენდს გზას. პირველად ჩვენი ქვეითი ჯარი აუტეხს სროლას მტრის ტანკაზე მომყოლ ქვეითა ჯარს და დაუყონებლივ აგზავნის ცნობას ზურგში, რათა თავის დროზე გააფრთხილონ ლეგიონის ბატარეები და აცნობონ არტილერიას.

ტანკები თავიანთ სიდიდის გამო ადვილი შესამჩნევია შორიდან.

ამიტომ არტილერიას ადვილად შეუძლია მათი შემუსვრა და პირდაპირი თავდასხმით მათი განადგურება.

ახლო დისტანციებზე კარგ, მშვიდ, გამოცდილ, დაკვირვებულ მსროლელთა მასიურ და ტყვიამფრქვევის ცეცხლს ტანკის სათვალთვალო ნაჭვრეტებში დიდი ზიანის მიყენება შეუძლია. გარდა ამისა ხუთ-ხუთი გრანატის ერთად გატყორცნას დიდი სარგებლობის მოტანა შეუძლია.

ბოლოს ცეცხლმტყორცნი სათოფურებიდან და ხვრელებიდან დიდ ზიანს აყენებს მწველი სითხით ტანკის შემადგენლობას.

ცეცხლის ამ საშუალებათა გარდა იხმარება კიდევ ტანკის საწინააღმდეგოდ სხვა ხერხიც, მაგალითად დაბრკოლებები და ორმოები. სთხრიან ორმოებს 5 მეტრის სიმაღლით და შენიღბავენ ისე, რომ სრულიად შეუმჩნეველია.

ასეთი ორმო სამარეა ტანკისთვის. ამასთან „ბარიერი“ და ლიანდაგი, თუ ისინი მაგრად არიან გაკეთებული, კარგ დაბრკოლებებს წარმოადგენენ ტანკის წინააღმდეგ. ბოლოს ნაღმების ჩაწყობა მთავარ უბნებში საიმედო საშუალებაა ტანკის შესამუსრავად.

არის კიდევ ბრძოლის სხვა სახეები. ჩვენ ვიცით, რომ ტყე, ჭაობი, ციცაბო აღმართები ან ღრმა ნაპრალები ტანკისთვის დაუძლევი დაბრკოლებებია. მაშასადამე, თუ ტანკის დამარცხება არ მოხერხდა, უნდა დაიხიო ტყეში, ჭაობისაკენ და სხვა, მაგრამ დახევის დროს უნდა ეცადო მიიტყუო მტრის ტანკი თავის არტილერიისაკენ.

ვ.

# იურიდიული დახმარება სამხედრო მოსამსახურეებს.

„კანონიერება უნდა იყოს ერთი“.

ვ. ი. ლენინი.

ასე სწერდა ვლადიმერ ილიასძე ლენინი რევოლიუციურ კანონიერების შესახებ, განიხილავდა რა მას როგორც რაღაც მტკიცეს მოცემულ პერიოდისთვის, როგორც რაღაც მთლიანს თავისი შინაარსით.

და მართლაც, საბჭოთა კავშირის ცალკე რესპუბლიკებში შეიძლება სხვა და სხვა საკითხებში სხვა და სხვა კანონები იყოს, მაგრამ მისი შინაარსი ერთია—მუშებისა და გლეხების ინტერესების დაცვა, ხოლო აქედან კი გამომდინარეობს ყველა დასკვნები.

ჩვენს კავშირში გარდა რევოლიუციონური, საბჭოთა კანონიერებისა, არ შეიძლება იყოს სხვა კანონიერება ვინაიდან ხელისუფლება ერთია, ერთია მისი რევოლიუციონური მონაპოვარი და მიღწევები.

კანონებს ჩვენში ჰქმნის მუშებისა და გლეხების ხელისუფლება, ამიტომ მათ პირველსავე რიგში ფხიზლად უნდა ადევნონ თვალყური ამ კანონების შეურყევლად ასრულებას; ხოლო იმისთვის, რომ თვალყური ადევნონ მათ ასრულებას და თვითონაც აასრულონ, ამისათვის საჭიროა იცოდე კანონები.

აქედან ჩვენი დღევანდელი ძირითადი ამოცანა,—როცა ჩვენ დავიწყეთ სერიოზული მუშაობა კანონიერების განმტკიცების საქმეში—ეს არის ჩვენი კანონების ფართოდ გავრცელება (რომ კარგად იცოდენ და ატარებდენ ცხოვრებაში) მშრომელთა ფართე მასებში.

ამ მოსაზრებით, ჩვენს წინაშე მდგარ ამოცანების განსახორციელებლად საბჭოთა კავშირის ყველა ქალაქებში, სადაც კი იმყოფება სამხედრო გარნიზონები, არსდებიან სამხედრო იურიდიული ბიუროები.

ამ ბიუროებს ევალებათ გაუწიონ იურიდიული დახმარება სამხედრო მოსამსახურეებს. აქ იგულისხმება: რჩევა—დარიგების მიცემა სხვა და სხვა, როგორც სამსახურის, ისე კერძო ცხოვრების საკითხებში; ცალკე კანონების განმარტება, განცხადებების შედგენა.

ამ ბიუროების შედგენისთანავე დასახულია ამოცანად, რომ არავითარ შემთხვევაში არ გადაიქცეს ეს ბიუროები ბიუროკრატიულ, უმოძრაო და „კაზიონ“ მანქანად, არამედ პირიქით, უნდა დაუახლოვდეს იურიდიული დახმარებით წითელ არმიელთა მასებს.

ამ მიზნით ნაწილებში, დანიშნულ დღეებში წავლენ სამეულები შემდეგი შემადგენლობით: სამხედრო პროკურორი, იურისტი (დამცველთა კოლეგიის წევრი) და პასუხისმგებელი მომუშავე.

ეს სამეულები ადგილებზე, ნაწილებში მიიღებენ წერილობითი და ზეპირ შეკითხვებს და იქავე მისცემენ პასუხს.

მაგრამ საჭიროა ამ თავითვე აუხსნათ, რომ ეს იურიდიული დახმარების ბიურო და სამეულები **საჩივრების ბიუროები** არ არის და რომ ისინი იძლევიან მხოლოდ არსებულ კანონების საფუძვლებზე დასკვნასა და რჩევა-დარიგებებს.

ახლო დღეებში ბიუროებისა და სამეულების ორგანიზაცია ჩატარდება ჩვენშიაც, კავკასიის წითელდროშოვან არმიაში. ბიურო არსდება: ტფილისში, ბაქოში, ბათომში და ერევანში. საბანაკო შეკრების პერიოდებში ზემო აღნიშნული სამეულები უფრო ხშირად ივლიან დანიშნულ ადგილებში.

ამ მუშაობის პრაქტიკულ ხელმძღვანელობას ჩაატარებს სამხედრო პროკურატურა პოლიტორგანოებთან მჭიდრო კავშირით და უკანასკნელთა აქტიური მონაწილეობით.

ამ ჟამად ადგილებში პროკურორებს და დივიზიების პოლიტგანყოფილებებს დაეგზავნა ინსტრუქციები და ცირკულიარები, დამტკიცებული კავკასიის წითელ დროშოვან არმიის პოლიტსამმართველოს და კ. წ. დ. ა. სამხედრო პროკურორის მიერ.

ეს პირველი, პრაქტიკული ნაბიჯია, რომელიც გადასდგა საბჭოთა ხელისუფლებამ და კომუნისტურმა პარტიამ არმიაში რევოლიუციონური კანონიერების განმტკიცების საქმეში იმ გადაწყვეტილების შემდეგ, რომელიც გამოტანილ იქნა ამ საკითხის შესახებ მე-14 პარტკონფერენციის მიერ.

ჩვენ გავატარებთ ამ კანონიერებას შეერთებული ღონისძიებებით და განვამტკიცებთ რევოლიუციონურ კანონიერებას.

ა. ლიუბიმოვი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მუშაობა ცვალებადელთა შორის.

## გააფრთხილეთ მეკუჭნავე.

მეხუთე ლეგიონი.

ლეგიონის 2-რე ათასეულის მეორე ტყვიამფრქვევ ასეულში გვყავს მეკუჭნავე, რომელიც მეტის-მეტად ყოყოჩობს და ისე ეპყრობა წითელ არმიელებს, თითქოს საკუჭნაო მის კერძო საკუთრებას წარმოადგენდეს. ხშირად ყოფილა ისეთი შემთხვევები, რომ წითელ არმიელებისაგან გასაკეთებლად მიცემული ფეხსაცმელები მისი ხელიდან უკან აღარ ბრუნდება. ამ ვაჟბატონს თუ მოეწონა რომელიმე მათგანი თვითონ აიცვამს და დაიარება.

არა ერთხელ მიუმართავს არმიელებს უფროსებისათვის საჩივრით მეკუჭნავის ასეთი საქციელის გამო, რომლებიც ფიცხელ განკარგულებას აძლევენ მეკუჭნავეს ფეხსაცმელების უკან დაბრუნებისათვის, მაგრამ განკარგულებას ეს ვაჟბატონი არ ასრულებს და წითელ არმიელებს უარით გვისტუმრებს. როდის უნდა მოეღოს ბოლო მის თავხედობას?

საჭიროა უფრო რადიკალური ზომა იქნეს მიღებული მის წინააღმდეგ ჩვენი უფროსებისაგან.

წ. არმ. **ციციკაშვილი.**

## სამაგალითო უნცროსი მეთაური.

მე 6-ხე ლეგ. მე 3-მე ასეული.

ხსენებული ლეგიონის მე-3 ასეულში, ასეულის ზემდეგ თანამდებობაზე მსახურებს ოცეულის უფროსი ამხ. ვიქტორ მექვაბიშვილი, რომელსაც წარჩინებით დამთავრებული აქვს ყოფილი დივიზიის უნცროს მეთაურთა მოსამზადებელი სკოლა.

აღნიშნული ამხანაგი, მართლაც რომ სამაგალითო უნცროსი მეთაურია არა მარტო მე-3 მე ასეულის, არამედ მთელი ლეგიონის მასშტაბით. ზრდილობა, თავდაჭერილობა, ამხანაგური მოპყრობა უნცროს ამხანაგების მიმართ, აი რა ახასიათებს ამხ. მექვაბიშვილს.

გარდა ამ თვისებებისა ამხანაგი დიდ უნარს იჩენს სამხედრო და პოლიტიკური ცოდნის შეთვისებაში.

წითელი ჯარში გამოწვევის შემდეგ მან ბევრი რამ შეიძინა როგორც სამხედრო, ისე პოლიტიკურ დარგში, რასაც იმედია უფრო გააღრმავებს.

ამხ. მექვაბიშვილს დიდი სურვილი ჰქონდა ქართულ გაერთიანებულ სამხედრო სკოლაში გადასვლის, სადაც უფრო ფართო გზა მიეცემოდა მის მისწრაფებას, მაგრამ ჩვენი ასეულის პროვინციაში ყოფნამ ხელი შეუშალა. საჭიროა მომავალში მაინც მიეცეს მის სურვილს გასაქანი, რომლიდანაც მივიღებთ საუკეთესო წითელ მეთაურს.

სამხკორი **ნ. ახათიანი.**

## ამას არ მოველოდით.

(მე-4 ე ლეგიონი.)

ამ რამოდენიმე დღის წინათ ჩვენს ლეგიონში მოვიდა დივპოლიტგანიდან გადმოგზავნილი ა. კ. კომუნისტურ უნივერსიტეტის 2-რე კურსის მსმენელი ამხ. გაზალიშვილი, რომელიც ბიურო კოლექტივის მიერ იქნა მიმაგრებული ლეგიონის 1-ლი საფეხურის პოლიტ-სკოლაზე ლექტორად.

სკოლის გახსნის საზეიმო სხდომა დაინიშნა 24 ივნისს. პირველად ილაპარაკა ამხ. გოგოხიშვილმა, რომელმაც გაგვაცნო 1-ლი საფეხურის სკოლის მნიშვნელობას, მის მუშაობას და სამეცადინო საათებს.

შემდეგ ამხ. გაზალიშვილმა გააკეთა მოხსენება სკოლის მუშაობის შესავლით.

კრებაზე იყვნენ პარტიული ამხანაგები და მწყ. თავები: ამხ. ამხ. კვიცარიძე და ქინქლაძე, რომლებმაც მომხსენებელს სიტყვის დათავებაც კი არ აცალეს და დაიწყეს უწესრიგობა: ერთი ამბობდა: „მე ეს სკოლა გავლილი მაქვს და ჩემი აქ მოსმენა წყლის ნაყვა იქნებაო“. მეორე კი ამბობდა: „კვირაში ოთხი საათი ბევრიაო“ და სხვა.

იმის ნაცვლად, რომ მათთან ერთად ჩაეთრიათ ახლად მოსული წითელ-არმიელები მეცადინეობაში—პირიქით ამით გული აუცრუვეს მათ.

აქ მყოფ წითელ-არმიელებსა, და ახალწვეულებზე დიდი გავლენა იქონია ამ ამხანაგების ყოფა-ქცევამ.

არ მოველოდით მათგან ასეთ გულგრილობას ამ პოლიტსკოლისადმი.

წით. არმ. **დამსწრე.**

## ცვალებადელთა შორის მუშაობა.

მე 4-ე ლეგიონი.

იშვიათ სურათს წარმოადგენს დღეს ჩვენი ლეგიონის პირველი ათასეულის წითელი ყაზარმები, სადაც თავს იყრიან ქართლის შუაგულ სოფლების ახალგაზრდობა. ამხანაგები უკვე შეეჩვიენ ყაზარმულ ცხოვრებას და ოჯახზე და სოფელზე ფიქრი სრულებით აღარ აქვთ. მათი მხიარულება და ჟრიამული დილის 5 საათიდან საღამოს 10 საათამდე გრძელდება.

დიდი აღფრთოვანებით და შეგნებით ითვისებენ ყოველივეს. მათ აღსაზრდელად ლეგიონს მთავარი ძალები აქვს დაჭიმული.

**სასკოლო მუშაობა.**

დიდი ყურადღება ექცევა კულტურულ პოლიტიკურ მუშაობას. ამ დარგში მეცადინეობა სწარმოებს 4 საათის განმავლობაში: დილის 7 საათიდან 11 საათამდე. კარგი ხელმძღვანელების გამო მეცადინეობა სასკოლო დარგში უმაღლეს წერტილამდე აღწევს.

**ბიბლიოთეკა.**

საბიბლიოთეკო მუშაობამაც ხუთი დღის განმავლობაში კვალი დააჩინა ახალწვეულებს. ყველა ასეულში ჩამოყალიბებული იქნა ბიბლიოთეკები, სადაც მიმაგრებულია სათანადოთ მომზადებული წითელი არმიელი. სისტემატიურად სწარმოებს გაზეთის ხმა მაღალი კითხვა.

წიგნების გაცემას და გამოცვლას საზღვარი არ აქვს. მკითხველთა რიცხვი საგრძნობლად გაიზარდა და თუ ცენტრალური დივბიბლიოთეკა მოგვაწოდებს სათანადო რაოდენობის წიგნებს ახალ გამოცემებისას საბიბლიოთეკო მუშაობა არც ერთ ლეგიონში არ იქნება ისეთი როგორიც ჩვენთან.

**საკლუბო მუშაობა.**

საკლუბო მუშაობა ძალზე მოისუსტებს შედარებით წარსულთან. ამ დარგში იქნა გაკეთებული მხოლოდ სამი-ოთხი ახალი ლოზუნგი, ორი ახალი პლაკატი და გაშვებული იქნა ცვალებადელების მოსვლის დღეს ერთი წარმოდგენა.

**სამხედრო მეცადინეობა.**

სამხედრო მეცადინეობა სწარმოებს ნასადილევს ოთხი საათით. აქაც კარგი ხელმძღვანელები აღმოუჩნდენ ახალწვეულებს. შეისწავლეს სამხედრო დისციპლინა, წყობილებაში მშვენივრად დაიარებიან, ისწავლეს შაშხანის მოვლა და ნაწილობრივ ხმარებაც. მშვენიერი სანახავი არიან ისინი მინდვრად მეცადინეობის დროს. მთელი ათასეული დაყოფილია ათეულებათ და ყოველ ათეულში განსაკუთრებით სწარმოებს მეცადინეობა როგორც ილეთებით ისე უილეთოთ. შემდეგ ერთდებიან ოცეულებათ და მთელი ასეულები ცალ-ცალკე იმეორებენ იმას, რაც ისწავლეს ათეულებად დაყოფის დროს.

საუკეთესოდ ითვისებენ ამხანაგები ყოველივეს, რაც იმის მაჩვენებელია, რომ ჩვენ ტერსისტემით შევქმნით საუკეთესოდ მომზადებულ წითელ ჯარს.

(გაგრძელება იქნება)

სამხკორი **ჯლანკი.**

## საჭიროა უცხო სიტყვათა ლექსიკონები.

**მეხუთე ლეგიონი.**

ჩვენს ლეგიონში გვაქვს ბიბლიოთეკა-სამკითხველო, რომელიც მდიდარია სხვა და სხვა შინაარსის წიგნებით. მაგრამ აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ამ ბოლო დროს ძლიერ გამრავლდა უცხო სიტყვები, რაც არა თუ ჩვენთვის—წითელ არმიელებისათვის, არამედ თვით პოლიტხელებისათვისაც კი გაუგებარია ზოგიერთი სიტყვები.

იმედია ჩვენი, პოლიტ-განყოფილება ამ წერილს ყურადღებას მიაქცევს და გადმოგვიგზავნის უცხო სიტყვათა ლექსიკონებს, რაიც საშუალებას მოგვცემს გავერკვეთ უცხო სიტყვათა მნიშვნელობაში.

სამხკორი **ო—ვი.**

# ნაწილების მუშაობა განაკში.

## ახალი კურსები.

ამ რამოდენიმე ხნის წინად არმიის პოლიტ-სამმართველომ გახსნა სკოლის გარეშე მომზადების მუშაკთა მოსამზადებელი კურსები.

ყველა ნაწილებიდან კურსებზე მოთხოვნილი იქნა თითო კაცი. სულ 40 კაცი, მაგრამ რაღაც მიზეზის გამო ზოგი ამხანაგები ვერ გამოცხადდენ. ასე რომ ამ ჟამად სულ 30 კაცი ვიმყოფებით. კურსები არის საკლუბო და საბიბლიოთეკო. მეცადინეობა დაიწყო 15 ივნისიდან. მეცადინეობა უნდა ყოფილიყო ყველასათვის რუსულ ენაზედ, მაგრამ ეს შეუძლებელი გახდა, ვინაიდან კურსანტთა შემადგენლობა ინტერნაციონალურია. აქ არიან: თათრები, სომხები, ქართველები და უმრავლესობა რუსები. ამიტომ მეცადინეობა სწარმოებს სამ ენაზედ. რუსები და სომხები ერთად მეცადინეობენ რუსულ ენაზედ, ქართველები ქართულად და თათრები თათრულ ენაზედ.

მეცადინეობა სწარმოებს წითელ-არმიელების და ფლოტის ბაღში, ყოველდღიურად გარდა კვირა დღეებისა, დღეში 7 საათი. კურსანტები დიდის მონდომებით მეცადინეობენ და დიდ ბეჯითობას იჩენენ. ქართველმა ჯგუფმა და თათრებმა უკვე გაიარეთ თეორიული კურსი. ახლა გადავედით პრაქტიკულ სამუშაოზე. მივდივართ სხვა და სხვა ნაწილებში და ვათვალიერებთ ლენინის კუთხეებს და თუ რაიმე ნაკლს აღმოვაჩენთ მიუთითებთ.

21 ივნისს წავედით საყარაულო ლეგიონში და დავათვალიერეთ მათი ლენკუთხეები, სადაც ბევრი ნაკლი აღმოვაჩინეთ.

ყველაფრით დაკმაყოფილებული ვართ, მაგრამ ერთი რამ გვაკლია: არ მოგვდის ქართული გაზეთები. ჩვენ ქართველებს კი რუსული ნაკლებად გვესმის და ჩვენ ვეძებთ გაზეთს „წითელ არმიელს“, რომელიც არ მოიპოვება ამ სამკითხველოში.

რატომ არ უნდა იყოს აქ ქართული გაზეთი „წითელი არმიელი“ ან და სომხური გაზეთები სომეხ წითელ-არმიელებისათვის. ეს ნაკლი უნდა გამოსწორდეს ვისაც ეხება.

სამხკორი წ. ა. კურსანტი
**ოგანოვი.**

## აბანო ცუდათ გვემსახურება.

პირველი ლეგ. 2-რე ასეული.

ამ რამოდენიმე დღის წინათ ჩვენმა მეთაურებმა წაგვიყვანეს გარნიზონის აბანოში. საპონი არ გაგვიცილებია ტანზე, რომ აბანოში უეცრად შეწყდა წყალი. ცდამ არაფერი გვიშველა.

იძულებული შევიქენით შეგვემშრალებია საპნიანი ტანი. ასეთ მოვლენას ხშირად აქვს ადგილი აბანოში. საჭიროა ყურადღება მიექცეს და მოეთხოვოს აბანოს გამგეს, წესიერად მოგვაწოდოს წყალი ბანაობის დროს.

ახალწვეული **უტიაშვილი.**

## საბიბლიოთეკო მუშაობა 1 დივ. 1 საარტილერიო ლეგიონში.

**წიგნის კამპანიისათვის.**

სხვა საპოლიტ-განმანათლებლო მუშაობასთან ერთად ჩვენს ლეგიონში საბიბლიოთეკო მუშაობა ყოველთვის იდგა თავის მოწოდების სიმაღლეზე.

გათვითცნობიერება წითელ-არმიელთა ფართე მასების—რომელსაც ისახავდა ბიბლიოთეკა, მტკიცედ ტარდებოდა ცხოვრებაში.

ირჩეოდა საჭირო მასალები წით. არმ. და ხელმძღვანელთათვის, ტარდებოდა ხმამაღალი კითხვები, მუშაობდა საბიბლიოთეკო წრე—რომელიც მოუწოდებდა წით. მოლაშქრეებს „წიგნისა და ბიბლიოთეკის მეგობრობისაკენ“.

თუმცა საჭირო ქართული ლიტერატურა, შედარებით ნაკლებად მოგვეპოებოდა, მაგრამ პერიოდიული გამოცემებით კი უზრუნველყოფილი ვიყავით სისტემატიურად.

წითელ არმიელთა 90 პროც. და მთელი უფ პოლიტშემადგენლობა ჩათრეული იქნენ მკითხველებათ.

ასე მუშაობდა ბიბლიოთეკა ზამთრის პერიოდში. თუმცა შარშანდელი საბანაკო მუშაობის გამოცდილება ბევრ რამეს უარყოფითს გვიქადდა ბანაკის ადგილ-მდებარეობის გამო—მაგრამ ვიმედოვნებდით, რომ მაინც დასახულ საზაფხულო პროგრამას პირნათლად შევასრულებდით.

ამ მიზნით ბიბლიოთეკამ ლეგ. ბიურო კოლექტივთან ერთად გამოყო საშეფო სოფლისათვის საჭირო საგლეხო ლიტერატურა და აგრეთვე გაზეთები.

დაარსდა ახალი ბიბ-წრე 23 კაცისაგან, რომელიც მიზნად ისახავს სოფლის მოწინავე საპოლიტ-განმანათლებლო მუშაკების მომავალ ქოხ-სამკითხველოს გამგეთა მომზადებას. ამ დღეებში დაიწყება გამოყოფილ ბიბ-გამგეებთან მეცადინეობა არსებულ პროგრამის მიხედვით. მაგრამ ლენ-კარვებში აქტიურ მუშაობას ხელს უშლის ცუდი ამინდები: განუწყვეტელი ქარი და წვიმები, რომელიც გლეჯს კარვებს და გვისველებს და აფუჭებს წიგნებს.

არ მოგვდის სისტემატიურად გამოწერილი ჟურნალ-გაზეთები და პროგრამაში აღნიშნული ქართულ ლიტერატურის უქონლობაც დიდ დაღს ასვამს მუშაობას—საჭიროა ამ ნაკლის გამოსწორება და ბიბლიოთეკაც შეასრულებს თავის დავალებებს პირნათლად.

**გრ. ჩიჩუა.**

## ჩვენი საქმიანობა განაკში.

პირველი ლეგიონი.

ბანაკად გასვლის შემდეგ ლეგიონის საკლუბო მუშაობა უფრო გამოცოცხლდა.

მოწყობილი გვაქვს ლენინის მინდორი, სადაც მოთავსებულია სხვა და სხვა ნაირი გასართობები. წითელ არმიელები დიდი ინტერესით ეკიდებიან გასართობებს.

მინდორი მორთულია ყვავილებით. გასართობების გარდა აქ არის სხვა და სხვა საუბრებისა და კითხვაში შეჯიბრების ცენტრი.

სამკითხველო თავის ადგილზეა. სისტემატიურად მოგვდის სხვა და სხვა ჟურნალ გაზეთები, როგორც რუსული, ისე ქართული.

**სასპორტო მეცადინეობა.**

ლეგიონში დაარსებულია სპორტ-წრე, რომელშიდაც დიდი აღტაცებით ეწერებიან წითელ არმიელები. მეცადინეობა დიდი წარმატებით მიმდინარეობს. ისეთ ხომრებს აკეთებენ ვარჯიშობის დროს ჩვენი არმიელები, რომ ხელმძღვანელებსაც უკვირთ. იმედი გვაქვს საარმიო ოლიმპიადზე სათანადო ადგილს დავიჭერთ.

**სამხედრო მეცადინეობა.**

სამხედრო საქმეში მეცადინეობას უდიდესი ყურადღება ექცევა ლეგიონში. არმიელები დიდი ყურადღებით ეკიდებიან თავიდან მისი შეთვისების საქმეს. ეს დაამტკიცა ამას წინად მეცხრე რუსულ ლეგიონთან გამართულ შეჯიბრმა. უვადო შვებულებაში წასასვლელი ამხანაგები კიდევ უფრო გულმოდგინეთ ეკიდებიან სამხედრო საქმეს. მათ სურთ ყველაფერი შეისწავლონ—გაიგონ და ისე დაუბრუნდენ თავის სოფლებს.

სამხკორი **დ. კიკვაძე.**

# საბანაკო ცხოვრებიდან.

### ჩვენი აუზი.

მეთ. სკოლის კურსანტებს თავისუფალი დრო ძალიან ცოტა აქვთ, სხვა და სხვა გასართობებისათვის.

ვარჯიშობა და მეცადინეობა რომ მოთავდება კურსანტები თავის საყვარელ აუზს მიაშურებენ.

ამ ჰაუზს ქართული სკოლის საბანაკო ადგილზე ჩამომდინარე ღელე ავსებს.

ის ორასამდე კურსანტს იტევს და საღამოობით ყოველთვის სავსეა...

მობანაკეთა ჟრიამული მიდამოს აყრუებს!..

მშვენიერი დასასვენებელი ადგილია აქ.

ცივი წყალი საკმაოდ აგრილებს, ასუფთავებს და ალხენს კურსანტებს...

ამ აუზში ყველა სკოლების კურსანტები ბანაობენ... ზოგი ცურვასაც კი სწავლობს!..

მხოლოდ აუზი თავამდე არ ივსება...

ყელი სუსტი აქვს და წყალი იპარება.

აუზში ხშირია ჭიდაობაც.

— აბა, ბიჭებო! ვინ ვის ჩააყლაპებს!..

გაისმის ხმა.

აგერ! კომკავშირის ბიუროს მდივანმა მოინდომა ასეულის პოლიტხელის (კურსანტის) აუზში გადაგდება...

ძალა-ძალას შეხვდა...

ბიჭებმა ასწიეს და ორთავე გადააგდეს!..

— არავინ უკმაყოფილო არ რჩება ასეთი ამბით...

კარგია ეს აუზი გასართობათ!..

სამხკორი ჩვენი.

# მესამე ლეგიონის პირვ. ათასეულის ცხოვრებიდან.

ათასეულის 1, 2 და 3-მე ასეულები შევსებულია ძველი წითელ არმიელებით, რომელთა შორის ძლიერ კარგი განწყობილებაა. მეცადინეობა სისტემატიურად მიმდინარეობს, როგორც სამხედრო ისე პოლიტიკური ხასიათისაც. ხშირად ეწყობა მანევრები.

ათასეულში მოწყობილია ორი ლენინის კუთხე-კარავი. თავისუფალ საათებში თითქმის ყველა წითელ არმიელები აქ იყრიან თავს, იმართება საუბრები, ხმა მაღალი კითხვა. ყველა ამას საგრძნობი ნაყოფი მოაქვს და იმედი გვაქვს, რომ ამ მხრივ მუშაობა კიდევ უფრო გამოკეთდება. საჭიროა მეთაურები გამოიჩენდენ კიდევ უფრო მეტ ენერგიას პოლიტსაათების ჯგუფურად ჩატარებაში, ლენინის კარვებში ჟურნალ-გაზეთების ხმა მაღლა წაკითხვასა და სხვებში. იმის თქმა არ მინდა თითქოს ცუდათ იყოს დაყენებული ეს საქმიანობა, მაგრამ გამოცხოველება მაინც ესაჭიროება და ამას სათანადო ყურადღებით უნდა მოეკიდონ მეთაურები.

გ—ტი.

# პოლიტ-საგანმანათლებლო მუშაობა 1-ლ საარტილერიო ლეგიონში.

(გაგრძელება.)

**საკლუბო მუშაობა.**

საკლუბო მუშაობა შეიძლება ჩაითვალოს დამაკმაყოფილებლად.

ლენინის კარვებში, გეგმის თანახმად, ტარდება ყოველ ღამით ხმა მაღალი კითხვა, საუბრები, შეღავათების კოდექსის გარჩევა, სიმღერები და თამაში.

აქვე უნდა აღინიშნოს სასიხარულოდ რომ, თითქმის ყველა ბატარეების უფროსთა შემადგენლობა, მხურვალე მონაწილეობას ღებულობს ლენინის კარვების ყოფა-ცხოვრებაში და მუშაობაში.

ლეგიონში არსებობენ (სინამდვილეში) შემდეგი წრეები.

1. **სასპორტო**—ფეხბურთის და ტანთვარჯიშობის სექციებით.
2. პოლიტწრე.
3) სამხკორთა და დრამატიული.

განზრახვა გვაქვს საბჭოთა აღმშენებლობის წრის დაარსება უვადო შვებულებაში მიმავალთათვის.

პოლიტ-და სამხკორთა წრეები მეცადინეობენ თვეში ორჯერ, დრამატიული 3—4-ჯერ.

სპორტ-წრე მეცადინეობს ყოველ თავისუფალ დღეს და საათს.

საუცხოვო სანახავია, როდესაც საღამოობით მთელი უფ-პოლიტ-შედ-ვეტ-და წითელ არმიელთა შემადგენლობა გაშიშვლებული იწყებს ვარჯიშობას.

კლუბმა შეიძინა 302 საჭირო ხელსაწყოები, წრეს ხელმძღვანელობს ამხ. ერისთავი და ლეგიონის სასპორტო სამეული.

ამას წინათ მოვაწყვეთ ლეგიონის ფარგლებში საინტერესო შეჯიბრება—ოლიმპიადა, რომლის პროგრამის დამთავრება უამინდობის გამო ვერ მოვასწარით. შთაბეჭდილება დიდი დასტოვა შეჯიბრებამ.

არც ერთი წითელ არმიელი არ არის, რომ ამ წრეს არ ეტანებოდეს.

გამარჯვებულებმა დაიწყეს მზადება საბანაკო ოლიმპიადში მონაწილეობის მისაღებათ.

თვეში ორჯელ გამოდის ლეგიონის კედლის გაზეთი „პანორამა“.

ახლო მდგომ ნაწილების გარდა გვაქვს კავშირი სოფელ მარტყოფთან, რომელსაც გამოვუწერეთ 2 ც. „წითელი არმიელი“ და საგლეხო ლიტერატურა.

ორჯელ დაიდგა, დრამ წრის მიერ წარმოდგენა, რომელმაც დიდი შთაბეჭდილება დასტოვა წითელ არმიელებზე.

სამხკორი გ. წითლანაძე.

# პირველი ლეგიონის სამკითხველოს გამგის საყურადღებოთ.

ჩვენი ლეგიონის მეორე ასეული შესდგება ახალწვეულებისაგან. არა ნაკლები 10 პროცენტისა ახალწვეულებში არის ადგილობრივი მცხოვრებლები. მათში უმეტესათ ურევია სომხობა, რომლებმაც კითხვა ქართულ ენაზედ სუსტად იციან. არიან ისეთებიც, რომლებმაც სრულებით არ იციან არც კითხვა არც ლაპარაკი. ასეთი ხალხი მოწყვეტილია ყოველდღიურ ცხოვრებას და გაზეთებს. ისინი სრულებით არ შედიან ლენინის კუთხეში, რადგან ქართული გაზეთებისა და წიგნების კითხვა არ შეუძლიანთ. (ეს უკანასკნელი ძალიან მცირეა ჩვენს კუთხეში.) უადგილო არ იქნებოდა ჩვენი სამკითხველოს გამგეს რამოდენიმე ცალი რუსული და სომხური გაზეთი მოეწოდებია ჩვენთვის თუ ეს შესაძლებელი იქნებოდა.

იმედი გვაქვს სამკითხველოს გამგე დაგვაკმაყოფილებს.

სამხკორი კახელი.

# ამბები სოფლებიდან.

**ფოსტის შენობა სოფ. დვირში.**

სოფ. დვირის (გორის მაზრა) თემაღმასკომმა დაადგინა შეაკეთოს ადგილობრივი ფოსტის შენობა, რომელიც ძლიერ დაზიანებულია სიძველის გამო.

**სოფ. ბარში.**

სოფ- ბარის (ზემო რაჭა) გლეხებმა სთხოვეს სამაღმასკომს მისცეს უფასოთ ხე-ტყის მასალა ადგილობრივი აღმასკომის შენობის შესაკეთებლათ.

**გლეხების შუამდგომლობა.**

სოფ. ზუდალის (რაჭა) გლეხებმა შუამდგომლობა აღძრეს სამაზრო აღმასკომის წინაშე, ზვარეთის თემის მაგიერ ონის თემზე მიწერის შესახებ.

# ახალი ამბები.

— **ცვალებადელთა შემადგენლობისათვის** ნარების დასამზადებლათ ქუთაისის აღმასკომმა გასცა ხე-ტყის მასალა.

— **საბინაო ამხანაგობები.** წარსული თვის განმავლობაში ტფილისში დამტკიცებულ იქნა 7 ახალი საბინაო ამხანაგობა.

— **ბამბის დათესვა.** წარმოკავშირმა წელს დასთესა 6 ათას დესეტინაზე ბამბა, საიდანაც მოსავალს მოელიან 1500 ფუთ ბამბას.

— **სას.—სამ. კოოპერაციის ზრდა.** 1923 წლის იანვრიდან წარმოკავშირის ორგანიზაციები 7-დან გაზრდილა 150-მდე.

— **გამასწორებელ** სახლებთან არსებულ სახელოსნოების აღსადგენათ შინ. საქმ. სახალხო კომისარიატმა გადასდო ათასი მანეთი.

— **რძის ფული.** დამზღვევი კასა აცხადებს, რომ რძის ფულის მისაღებათ საჭიროა წარდგენილ იქნეს ყოველ ცალკე შემთხვევაში დასაზღვევი წიგნაკი.

— **ხეხილის სადედე.** წარმოკავშირმა მოაწყო ხეხილის სადედე 20 დესეტინაზე სოფ. ციხის-ძირში.

— **მასწავლებელთა გადასამზადებელ** კურსებზე მომუშავეთა კონფერენცია გაიხსნება 2 ივლისს 1-ლ საცდელ-საჩვენებელ სკოლაში (რუსთ. პრ. № 2.)

— **დღეს, დღის 12 საათზე** წით. არმ. და ფლოტის ბაღში გაიმართება წ. არმ. და ფლოტის სახლის პოლიტ-განათლების თათბირი, სამხ. ნაწილების კლუბების გამგეთა დასწრებით.

## ხელოვნება.

— **წითელი არმიისა და ფლოტის ბაღში.** დღეს გაიმართება დიდი სეირნობა. კინოში კიდევ მიდის სურათი „ლამის ამოცანა.

— **ახალი წიგნი.** გამოვიდა და იყიდება გამრეკლიძის მიერ შედგენილი წიგნი „სამხედრო ქიმია“. წიგნი ლამაზათაა გამოცემული და ღირს 80 კ. გამოცემა ქარ. მეორე დივიზიის სამხ.-სამეცნ. საზოგადოებისა.

# პასუხი შეკითხვაზე.

**ამხ. ნ. ნადირაძეს.** თუ დაადასტურებთ რომელიმე ადმინისტრატიულ ორგანოს მოწმობით, მხოლოთ იმ შემთხვევაში შეგიძლიათ ისარგებლოთ ამ შეღავათით.

# აბა გამოიცანი?

### სახუმარო ამოცანა № 1.

ამოცანა საინტერესოა. მოითხოვს დაფიქრებას, მაგრამ შეიძლება გამოყვანილი იქნეს დაუფიქრებლადაც. აი ეს ამოცანაც: თერთმეტი უნდა გაჰყოთ შუაზე ისე, რომ ნაწილადში მივიღოთ არც მეტი, არც ნაკლები-6.

როგორ შეიძლება ამის გადაწყვეტა?

# მეცნიერება და ტეხნიკა

**კიბოს ავადმყოფობის წინააღმდეგ ბრძოლა.**

მთელი ქვეყნის მეცნიერები უკვე კარგა ხანია, რაც ენერგიულად მუშაობენ კიბოთი დაავადმყოფების წინაამდეგ, ახალი საშუალებების გამოსაძებნათ. ისინი თავის მიყრუებულ ლაბორატორიებში, საცდელ ინსტიტუტებსა და კლინიკებში თანდათანობით სწავლობენ—არკვევენ და სწვდებიან ამ საშინელი ავადმყოფობის გამომწვევ ბნელით მოცულ საიდუმლოებას და მისგან განთავისუფლების საქმეს.

ამ უკანასკნელ ხანებში ძლიერ მოუხშირეს ამერიკულ გაზეთებში ცნობების გამოქვეყნებას, რომლებიც აუწყებენ საზოგადოებას კიბოს წინააღმდეგ რადიოს გამოყენებას.

**როგორ იცვლება სისხლი მუშაობის დროს.**

ინგლისელ მეცნიერ ბროუნის გამოკვლევით, მცირე მუშაობის შემდეგ სისხლში მატულობს პლაზმის რაოდენობა, ე. ი. სისხლის სითხე, მაგარი ნაწილების გარდა. ამასთანავე ძლიერ მატულობს სისხლში არსებული წითელი სისხლის ბურთულების რიცხვი და სისხლის წითლად მღებავი ნივთიერება (გემოგლობაინი). პლაზმის რაოდენობა ძლიერი მუშაობითაც იზრდება სისხლში, ხოლო წითელ ბურთულების საერთო მასა და წითლად მღებავი ნივთიერება კი მცირდება. ამნაირად მუშაობის დროს ჩვენს ორგანიზმში განუწყვეტლად სწარმოებს სისხლის შემადგენლობის ცვლა.

**გამოგონებათა სტატისტიკა.**

ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებულ შტატების საპატენტო ბიუროს აქვს 54 განყოფილება, რომლებიც იხილავენ ყოველ წლიურად რამოდენიმე ასი ათას საპატენტო აპლიკაციებს.

1924 წ. განმავლობაში ვაშინგტონის (ამერიკის სატახტო ქალაქი) საპატენტო ბიურომ გასცა 63 ათასზე მეტი პატენტები (600-ით მეტი ვიდრე 23 წელში). სხვანაირად რომ ვსთქვათ ამერიკაში საშვალოდ ყოველ დღიურად იცემა 200 პატენტამდე ახალ აღმოჩენებზე.

# პასუხათ ამხ. მაისურაძეს.

13 ივნისის გაზეთ „წითელ არმიელი-“ს ნომერში მქონდა მოთავსებული კორესპონდენცია 1-ლ ლეგიონის სამნეო გუნდის შესახებ, რომელშიდაც აღვნიშნავდი ზოგიერთ წითელი არმიელების ცუდი ყოფაქცევის შესახებ.

ამის შესახებ გაზეთ „წითელ არმიელი“ს № 136—მოთავსებულია ამხ. მაისურაძის წერილი სამნეო გუნდის ცხოვრებიდან და ბოლოს მეხება მეც და დაასკვნის, თითქოს მე ამრეოდეს შტაბისა და ჯორჯაძის გუნდის წითელ არმიელები ერთმანეთში, ვერ ვცნობდე მათ და ამიტომ ჩირქს ვსცხებ სამნეო გუნდს. ის სწერს „სამნეო გუნდის წ. არმ. კი არ იგინებიან არამედ ეს უდისციპლინო ამხანაგი, შტაბის მომუშავე იყო“—მე ეს შემთხვევა მხედველობაში არ მიმიღია და არც ამის გარშემო დამიწერია.

მე სულ მათთან ვსცხოვრობ და კარგათ ვიცი, ვინ, როგორ იქცევა. ასეთი გინებას მარტო ერთჯერ არ ქონია ადგილი, არამედ მას სისტემატიური ადგილი აქვს გუნდში.

მე აღვნიშნავ ფაქტს: სალამოს ამოკითხვის დროს ერთ-ერთ წითელ მოლაშქრემ ამოკითხვაზე ძალით დაიგვიანა. ის ამოკითხვის გათავების შემდეგ გამოცხადდა. ოცეულის თავისგან მან მიიღო სასჯელათ სამი დღის დაპატიმრება, მაგრამ ამავე წით. მოლაშქრემ ფეხის აქნევით და ფშტვენით უპასუხა.

გეკითხებით მაისურაძევ არის თუ არა ეს უდისციპლინობა? იყო თუ არა იგივე წით. მოლაშ. დაპატიმრებული ამ ერთი კვირის წინ გინებისათვის?

ბოლოს ის სწერს: „ასეთ მოვლენას ჩვენს გამრჯე წით. არმიელებში არც ერთჯერ არ ქონია ადგილი და არც აწი ექნებაო“—ამხ. მაისურაძევ, იცხოვრე ჩვენთან და მაშინ გაიგონებთ ყველაფერს.

მგონი თქვენც კარგათ იცით, მაგრამ ფარავთ, რადგან ცოტა პასუხი ამაში თქვენც მოგეთხოვებათ, როგორც მასწავლებელს, რომ ამდენი ხნის განმავლობაში ვერ შეასწავლეთ არმიელებს ასეთი სიტყვების ცუდი მნიშვნელობა.

სამხკორი ჟონეთელი.

პასუხისმგებელი რედაქტორი ლ. ჩანტლაძე.

ნ. დ. ს. ც. სამხედრო სტამბა ქეცხოველის ქ. № 3.